

ლიცეოს სურული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზემი „საშურის მოამბის“ დამატება
№7, 26 ივლისი, ორშაბათი, 2021 წელი

„ტაშისკრობა 2021“

„... და იდგა 1609 წლის 27 ივნისი... ტაშისკარი, ნახვეტარას მინდორი... ომის ღმერთს სამართი სასწორის ერთ პინაზე 60 000 თათარი დაესვა, მეორეზე – 10 000 ქართველი!.. რიჟრაჟზე გიორგი სააკაძის მთავარსარდლობით იქმნა ომი დიდი... თურქთა უმრავლესობა ჩანყდა და ჩაინაცრა!.. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დასრულდა...“

ლევან სანიკიძის წიგნიდან –
„დედა ისტორია“

ა. წ. 27 ივნისს, სოფელ ტაშისკარში, სურამისა და საშურის ეპისკოპოსის, მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს ჩოხოსანთა ორგანიზაციის ინიციატივით, საშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ზაალ დუგლაძისა და მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის სამსახურისა და საბიბლიოთეკო გაერთიანების (ხელმძღვანელი მაკა დიდებულიძე) მხარდაჭერით, გაიმართა ტრადიციული დღესასწაული „ტაშისკრობა“, რომელიც 1609 წელს, ქვიშხეთთან, ნახვეტარას ველზე გიორგი სააკაძის სარდლობით მტერზე ძლევამოსილი გამარჯვების 412-ე წლისთავს მიეძღვნა.



აღნიშნული დღესასწაულის დამკვიდრებაში, 2009 წლიდან ლომის წილი მიუძღვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ ყორანაშვილს. ასევე, ქვიშხეთელებს: წიგნის „ქვიშხეთი, ჩემი ქვიშხეთი“ ავტორებს: კლიმენტი სუთიაშვილსა და გივი გელაშვილს და დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს.

წლებიდან დღისათვის ლონისძიება ყველაზე მასშტაბური დღესასწაული იყო, რაც დღემდე, ამ თარიღის აღსანიშნავად გამართულა სოფელ ტაშისკარში.

ტაშისკრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დილიდანვე წირვა აღავლინა მეუფე სვიმეონმა.

საზეიმო კონცერტი „სააკაძის ნაბლთან“ ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საშურისა და ქვიშხეთის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: „ფრესკა“ (ხელმძღვანელი ელენე რატაიანი), „მთაწმინდა“ (ხელმძღვანელები: ალ. ტაბატაძე და გიორგი ქალიაშვილი), ხალხურ საკრავთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი გოგი მუბითიძე) და საოპერო მომღერალმა, ქვიშხეთელმა ლევან ტაბატაძემ.

საზეიმო კონცერტს ესწრებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, საშურის ინტელიგენცია, ასევე, მონვეული სტუმრები: საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოება; ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტი ქ-ნი გულნაზ ხარაიშვილი და მისი წევრები; შიდა ქართლის მწერალთა რეგიონალური კავშირის თავმჯდომარე დავით ახლოური; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ამირან კურტანიძე; „სტუდია გუთნის“ დამაარსებელი, ისტორიკოსი ლექსო გელაშვილი. ასევე, შიდა ქართლის დეპუტატის ბიუროს აპარატის თანამშრომლები. კონცერტს უძღვებოდა საშურის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთა გაერთიანების ხელმძღვანელი, ჩოხოსანი გია ბოლოკაძე. ერთმანეთს ენაცვლებოდა სიმღერა, ცეკვა, ლექსი. სიტყვა წარმოსთქვეს ისტორიკოსებმა: საშურის საშურეუმო გაერთიანების მმართველმა თამაზ ლაცაბიძემ; თენგიზ ჩიტიაშვილმა; ნიკო ხერკილაძემ და პოეტმა და ისტორიკოსმა ვაჟა ოთარაშვილმა; ჟურნალისტმა მაყვალა ხაჩიძემ. „ტაშისკრობის“ დღესასწაულზე საბავშვო მუსიკალური ანსამბლის „მოდახილი“ დებიუტიც შედგა (ხელმძღვანელი – მომღერალი დავით არჩვაძე).

ღონისძიების დასასრულს, ცნობილი გახდა, რომ მეუფე სვიმეონის გადამწყვეტილებით, სოფელ ტაშისკარში გაიხსნება ჩოხოსნების სადროშო, რომელსაც ტაშისკრის მკვიდრი ბ-ნი ბადრი ხაჩიძე უხელმძღვანელებს. ასევე, საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები გახდებიან ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფრესკა“ და ანსამბლი „მოდახილი“.

ქართული სულით გაჟღენთილიყო ჰაერი. პანდემიისა თუ ყოფითი პრობლემების შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებას ერთმანეთთან გამოთხოვება ეძნელებოდა... თითქოს დიდებული წარსული გაცოცხლდა, – საოცარი ძალა ვიგრძენით!.. უძლეველი ჯიშის, გენისა და სისხლის ყივილმა გამოგვაფხიზლა...



გუგუნებდა მრავალჟამიერი და შრიალებდა ბებერი ნაბლის ხის ფოთლები...

თვალში სხივამდგარ ბავშვებს არასოდეს დაავიწყდებათ ნახვეტარას ველზე გაჩაღებული ბრძოლა, გიორგი სააკაძე და ტაშისკრის ნადიმი... არც – ეს დღე! – დიადი წარსულის წინაშე მუხლმოყრილი ერი და ბერი...

კიდევაც დაიზრდებიან!..

მრავალჟამიერ, მამულო, ჩემო!..

კლარა გელაშვილი – პოეტი;
ფილოლოგიის დოქტორი;
დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის
ფონდების მცველი.

პოეზია



ნუნუ ცაბაცაძე - 75

ხანი განსჯის და ფიქრის

სამოცდათხუთმეტ გაზაფხულს
 ხომ დავუთვალე კვირტი
 და ამდენივე ზაფხულის
 შემოვიხვიე ზვირთი!..
 ყრუ წუთისოფლის ავობას
 რა ვუყოთ, გვიან, მივხვდი...
 ზამთრისპირული შიშების
 მანტიას მაინც ვიხდი.
 გული კვლავ ამიხშიანოს,
 სისხლი ხომ ჯერაც ყივის...
 და სულშიც, როგორც არასდროს,
 ცის სურნელება ღვივის.

* * *

შობა უფლისა

ზეცა დაეშვა და ბეთლემში
 მიწას ემთხვია,
 ჭეშმარიტ გზიდან რომ არასდროს
 გადაგვეხვია...
 ქრისტეს გომურში დაბადებით,
 ბაგათ შობისას,
 უბრალოება გვექადაგა
 კაცთაშორისად...
 რომ იგრძნო ქრისტე, მთელი გულით
 უნდა დამდაბლდე,
 გზა, სასახლიდან, გაიყვანო,
 უნდა, ბაგამდე...
 შობა უფლისა ნიშნავს,
 ისევ გვწყალობს უფალი,
 სიყვარულის და რწმენის, დღემდე,
 ღუის ბუხარი...
 შობა ქრისტესი
 ჩვენში იქცა რწმენის საწყისად
 და დადგა ჟამი
 წელთაღრიცხვის ახლად ათვლისა!

* * *

შემოდგომის ფერების
 რეჟიემია
 დღეს, ჩემთვის, საწუთრო,
 შემცირდა წლები...
 ნისლში მორიალე ღრუბლის
 პირამიდებს მხრებზე ადგათ
 მზით სავსე სარეცელი,
 რომელიც მეღის...

* * *

რად მიმზერო ასე?!
 ნურც მკითხავთ ნურას! –
 ერთ სიცოცხლეში
 მგონი, უკვე
 ათასჯერ მოვკვდი!
 მხოლოდ ღვთისმშობლის
 მზერაში ვგრძნობ
 იმედს ხვალისას...
 ლოცვით თენდება,
 სული სხვის გრძნობის,
 სიმშვიდე მოღის...

ღია ბარათი

ქარი ქრის, თითქოს,
 ბუნება ნანობს,
 გადაშლა უნდა
 ახალი ფურცლის,
 რადგან არასდროს,
 რადგან არავინ,
 გულწრფელ მადლობას
 არავის უხდის!
 ალბათ იმიტომ,
 ალბათ ამისთვის,
 აწმყო ჯავრს იყრის,
 ამუნჯებს წარსულს,
 მზეს რომ დამალავს
 ღრუბლების ჩრდილში –
 ნეტავი, ამით,
 რას ამბობს, რა სურს?!
 გელაციცება ახალი სხივი,
 თავს ხრი, მორჩილი
 ხდები, რატომღაც...
 და გახსენდება ქარი,
 რომელმაც,
 ღია ბარათი
 კართან დატოვა...

ღეღა

რა დამაძინებს?
 გამიტყდება
 ეს ლამეც, ვიცი,
 ამოვალაგებ ფერად სიზმრებს,
 შენგან ნაბოძებს,
 დროის დინებას გაავყოლე
 ათასი ფიქრი,
 სული ქარიშხალს ისე ხვდება,
 როგორც დამოძღვრე...
 მიუსაფარი შვილის განცდით
 ვიღებ შენს სურათს,
 მოგონებებით სავსე ეტლით
 შენთან ვბრუნდები,
 ჩემი ზამთარი მხოლოდ შენი
 ზაფხულით დნება,
 ჩვენ მონატრებას ჰქვია ჟამი,
 არგახუნების...

* * *

კეკლუცობდა ლამე ფარჩით,
 ვარსკვლავების მაქმანებში,
 კუთვნილ ვარსკვლავს დავეძებდი
 ხან მზესა და ხან – ქარებში...
 წუთებს წამი იმედად და
 სასოებად გადავეცი...
 ვიყავ მტკიცე და მდუმარე,
 მოლოდინით არ დავეცი!..
 სამწუხაროდ, მივხვდიგვიან,
 რომ ოცნება სიზმარს მოჰგავს, –
 რომ ყველაფერს დროის ხელი
 ჩამოჰკრავს და ჩამოძოძავს...
 ...ცა კი იყო სევდის მსმელი...
 ხელიდან რომ ეცლებოდა –
 ის ვარსკვლავი, ფერწასული,
 ოცნებებად ეცემოდა.

ფიქრთა მარულა

ახლა ქარები ისე დაქრიან,
 ანგრევენ ჩვენი ფიქრის საცავებს,
 აღარაფერმა აღარ დაგვინდო,
 ცხოვრება გვიტევს, წლები
 გვძარცვავენ...
 ავფორიაქდი!.. მინდა, შევეხო,
 გარდასულ დღეთა მიმქრალ კონტურებს,
 რომ სიყრმევ, ჩემო, შენს ნაპირებთან,
 კვლავ მომაცუროს, იქნებ, ფორტუნამ...
 რალა შეავსებს, დრომ ჩამოწურა
 ჩვენი არსობის სავსე ცურები
 და კალმახივით შეგვრჩა წინწკლებად
 გარდასულ დღეთა ნაფეხურები...

დროთა მეფობა

მე ოქროსფერი მუარი მეცვა,
 სახეს ფარავდა შავი ვუალი
 და ვიფერებდი ცხოვრებას ისე,
 ვით საპატიო ადგილს – სტუმარი...
 ერთგულებაში მზე სხივებს ცდიდა,
 დავშრიალელებდი ფერთა რიალში,
 ვერც კი ვხვდებოდი, ისე წვებოდა,
 დროთა მეფობა ხავსის წიაღში.
 ვერცხლის გვირგვინი დამადგეს წლებმა,
 უკვე ცხოვრების პროფილში ვჩანვარ...
 და ვგრძნობ, მზე, უკვე ზღვაში კი არა,
 ჩემს ათროთლებულ სხეულში ჩავა!..



ნ ა მ რ ი ს ს ც უ მ ა რ ი



გენრიეტა ქუთათელაძე – პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი – ცხოვრობს ქ. ბათუმში. არის არაერთი კრებულის ავტორი და ზურაბ გორგილაძისა და ნიკოლორთქიფანიძის სახელობის პრემიის მფლობელი.

„ქ-ნ გენრიეტას შემოქმედებითი თვალსაზრისი მოვლენების სიღრმისეული წვდომით შთაბეჭედავია და ლვითური სიყვარულით არის ნასაზრდოები. „მისი დროში განფენილი „მე“ კოსმიური ცნობიერების ადამიანია, რომელიც ეთიკურ-ფილოსოფიურ პრობლემებს, ჭეშმარიტების მარადიულ, ამოუხსნელ კითხვებს ჩაღრმავებდა ტრანსცენდენტური სამყაროს ბილიკებზე სამოგზაუროდ.“

ნაცარქექიას მონოლოგი

მგონი მზე სადღაც გადაიკარგა,
 ცას ჩაულამდა ლურჯი თვალეები,
 ატირდა მწარედ...
 ჩვენი პლანეტა უჩვეულო რიტმს აყოლია,
 Animal planet, Animal planet...
 ვთრთი და ვკანკალებ სუნთქვაშეკრული,
 ჩემს კერიაზე რა ხანია მინავლდა ცეცხლი,
 დაჰქროლა ქარმა და მოცახცახეს
 შემომამყარა სახეში ფერფლი,
 მაინც არ ვტოვებ ბუხარს მინავლულს,
 საგულდაგულოდ ვქექავ ნაცარს,
 ვეძებ ნაკვერჩხალს,
 რომ გავაღვივო ისევ ცეცხლი...
 ცეცხლი ღვთიური...
 მისი ჭვრეტა სულს ასულდგმულებს,
 სხვა სითბო და სინათლე ახლავს ამ ხილულ სასწაულს
 და მე ხილულში უხილავს ვარ დანატრებული,
 დიახაც, სწორედ უხილავს ვეძებ...
 ნაცარი ჩემთვის წმინდაა და სასურველი,
 გარდასახული ენერჯის ვარ მოტრფიალე,
 განა არ იცით, ნაცრის ჩხრეკვა ცეცხლის არსია,
 უღიადესის, უნაპიროს მე ვარ მძებნელი.
 კი, მართალია, თქვენ მე დამცინით,
 მაგდებთ სახლიდან, მაყვედრით ლუკმას,
 მიძახით ზარმაცს, უგერგილოს და უნიათოს,
 ნაცარქექიას,
 ბრიყვსაც ხანდახან...
 თქვენ მარწმუნებთ, რომ ზღაპარში ვცხოვრობ,
 ცხოვრებამ თითქოს შორს ჩაიარა,
 რომ არც ოქრო მაქვს, არც სხვა ქონება,
 არც პატივს არ მცემს ქვეყნად არავინ,
 დროა, ძველ ჩვევებს გადავეჩვიო და
 ახალ ცხოვრებას ჩაფუდვე კვალში.
 არ გთხოვთ არაფერს,
 თქვენი ქონების არ ვარ მსურველი,
 ეჰ, სავალალოდ,
 თქვენ ვერ გაიგებთ, რას ვეძიებდი მე იმ ნაცარში...
 სამოგზაუროდ დავუყვები გზებს ჩახერგილებს,
 თუნდ დევებს შევხვდე, არ შევშინდები,
 ჰო, ჩემი თავის კი მაქვს იმედი,
 წინ მელოდება მე „ჰეპი ენდი“.
 თქვენ დაინახავთ, რას მიაღწევს მჭვრეტელი კაცი,
 ვინ დაამარცხებს ხერხსა და ჭკუას,
 ან ოცნების კაცს – შორსგამხედვარეს,
 ბედნიერი ვარ, უფალო ჩემო, კამკამებს სული, შუქში კამკამებს,
 ვხედავ სამყაროს შენით ავსებულს,
 შენს უქრობ თვალებს – მზესა და მთვარეს.

თავზე მეღვრება ვარსკვლავების სხივების ჩქერი
 და ფრთებშესხმულმა, როცა ირეალურის შევალე ბჭენი,
 ვერც სიხარული, ვერც გაკვირვება, აღფრთოვანებაც ვერ შევიძელი...
 ეჰ, ვინ ჩანვდება სიღრმეებს ზეცის,
 ან ვარსკვლავების იღუმალი ციმციმის მიზეზს...
 აქ, არყოფნის მყინვარებში ველარ დაანთებ კოცონს ტრფობისას
 და ვერ გაფანტავ ბურუსს ნაცრისფერს...
 ვერ დაინახავ აისს და დაისს
 და ყვავილებით ამოვსებულ კორდების უბეს...
 აქ, არყოფნის მყინვარებაში...
 ჰა, ირიჟრაჟა, ცამ თანდათან იცვალა ფერი,
 ცა გამონათდა, ცას დაედო ფერი ვარდისა,
 მიწამ დაისხა ტურფა ყვავილნი – მე დავუბრუნდი ჩემს დედამინას...

მიხმობს სამყარო

მიხმობს სამყარო და მირიადი გალაქტიკები,
 გარიჟრაჟზე მოციაგე სხივებს მიგზავნის
 შეკითხვების ვრცელი უსტარით;
 რას ვუპასუხებ მე ამ შეკითხვებს,
 ნათელღებული და განდობილი ჯერ კიდევ არ ვარ;
 დედამინაზე კი ფსიქოლოგიური ტესტებით
 აპირებენ გამოიცნონ კაცთა ბუნება...
 ვინა ვართ, რა ვართ, საით მივდივართ,
 რა ხასიათი გვიბოძა ღმერთმა –
 მხიარული თუ ნაღვლიანი,
 ან იქნებ სულაც გულცივი, როგორც მრავალი?
 ჰო, ალბათობა აინტერესებთ...
 ჰორმონალური სიმფონია თითქოს ყალბად ჟღერს,
 ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონი აჩქარებს რეაქციას
 და ემოციური პალიტრაც მდიდრდება:
 ამბივალენტური განცდები მიპყრობს –
 სიცოცხლე მშვენიერია, არა, სიცოცხლე სასჯელია...
 და ჩემი სულის უკაცრიელ და უსიერ ტყეში,
 ვით გადაბურდულ ხეთა ჩრდილებში,
 ფესვებს ჩავცქერი, ფესვს ვაკვირდები არსებობისა,
 საცნაურდება გენში ჩაქსოვილი ადამიანის მოდელი –
 ძლიერს მომავლის დიდი რწმენა აქვს,
 სუსტი კი ცხოვრობს მხოლოდ დროებით...
 კიაფობს ჩემში იღუმალი სამყაროს სხივი...

ანდერძი

ტივტივებს ფიქრი
 და ოცნებების ვუალს იფარებს,
 ჭეშმარიტ გრძნობას,
 სიყვარულს ნამდვილს
 ვერ გადარეცხავს დროის მდინარე...
 ტივტივებს ფიქრი, ვით ტივი ტბაზე
 და მეც ვტორტმანებ...
 სულ მალე ღრუბლებს შევუერთდები,
 ალბათ, სულ მალე...
 ახლა კი ზეცის სიმღერა მესმის,
 მთვარის ყვავილი ნაზად შრიალებს,
 ასე ღვთიურად ამონთებული,
 ეს ალისფერი ტოტი გრძნეული
 ჩამოჰგავს იელს...
 გიტოვებთ, როგორც Carte visite-ს,
 ეს ჩემი სული აყვავებულა,
 გთხოვთ, არ დააჭკნოთ,
 ასხურეთ წყალი!

დ ე ბ ი უ ც ი



ალექსანდრე კაკიაშვილი დაიბადა და ცხოვრობს ხაშურში. სპეციალობით ეკონომისტი, მონოდებით – მოყვარული მსახიობი. ლექსები და ჩანახატები კი, როგორც თავად ამბობს, არის მისი “შინაგანი, ემოციური დამოკიდებულება დროის კონკრეტულ სეგმენტზე.”
 მაკეტების კეთება კი მისი ჰობია, რომელსაც იმათ ჩუქნის, „ვინც ადამიანურ არსს ამართლებს“.

მონატრება...სიგიჟე...სიყვარული...

მონატრება – მეგონა, სულ მთლად დამივიწყე.
 მე – იმედი მქონდა, რომ ასეც მოხდებოდა, თუმცა, ჩემს მეგობრად გადაიქცევი.
 მონატრება – ხომ იცი, როგორც უნინ, ახლაც ვერ გაძლებ ჩემს გარეშე, მაინც აგირევ ფიქრებს და სიგიჟის მორევში გაგხვევ.
 სიგიჟე – არ შეგიძლიათ, ერთხელ მაინც, უჩემოდ გაძლოთ?
 მე – უშენოდ ხომ იცი, ყოველივე ნაცრისფერია.
 სიგიჟე – მგონი, ჩვენ ერთად დავიბადეთ... აბა, გავიდეთ ახალ სარბიელზე?
 მე – ნება თქვენია, თქვენო ბრწყინვალეზავ.
 მონატრება – არ დაილაღეთ ორივე ამ სულელური, ცხოვრებისეული თამაშებისგან? ხომ იცით, ორივე, ბოლოს, ჩემს სამყოფელში მომადგებით და ნავსაყუდელს ჰპოვებთ.
 მე – ვიცი და, ამიტომაც, შენ, ჩემი მეგობრებიდან, ყველაზე მეტად მძულხარ.
 სიგიჟე – ისე, თუ გინახავთ სისხლისფერი მზე პირქუშ ღამეში?
 მე – უკვე იწყებ ხომ?
 სიგიჟე – არა, უბრალოდ, ვცდილობ, ფუნქცია არ დაკარგო და მოსიარულე გვამი არ გახდეს. ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ.
 მე – ჰო, ვიცი...
 სიყვარული – ვინმემ მახსენა?
 მონატრება – აქედან მიბრძანდი!
 მე – „დეჟავიუ!“
 სიგიჟე – არ გააგდოთ, ძლივს, ერთი გამოჩნდა, ვინც ყველაფერს თავდაყირა დააყენებს და ჩემს შენში დაბადებას აზრს შესძენს!
 მონატრება – დიდხანს გააგრძელებთ ამ მარაზმს, თუ მთავარზე გადავიდეთ?!
 მე – ასე აჯობებს... მონატრება, სიგიჟე, სიყვარული...
 მე – ჩვენს გულში კვლავ გაზაფხულია, ფიფქებად დათოვლილი შენი მოლოდინი.
 მარტობა – გამარჯობა...

წერილი საგიჟეთიდან (ინსპირაცია)

ბოლო დროს უკვე ჩემს საკანს ბელურაც აღარ სტუმრობს...
 ალბათ ისიც ოცნებისკენ გაფრინდა... ძალიან უნდოდა თბილ ქვეყნებში გაფრენა. სულ ამბობდა – აუცილებლად ვთხოვ მერცხალს გაზაფხულს და მეც გავფრინდებიო...
 ერთადერთი ის მწყინს, რომ ჩემი საკნის პანანინა ფანჯარას გისოსები გაუკეთეს და ღამით ვერ ვხედავ ცაში გაბნეულ რეალობას.
 გუშინ, როცა ბელურაზე ვფიქრობდი, მე ის დავხატე... ჰო, დავხატე... იცი, როგორი ღამაში იყო? გაზაფხულის ბელურა! გამოვჭერი და მთელი ღამე ფრენას ვასწავლიდი...
 ჰო, კარგი, კარგი, გიჟი კი ვარ, მაგრამ... ვიცი, ქალაღის ბელურა არ დაფრინავს. უბრალოდ, მინდოდა, მას ეგაზაფხულა... ფიქრისფერი, გაზაფხულის ბელურა იყო... აი, ისეთი, ცის კიდემდე, ფრთხილით, გამალებული, ამომჯდარი გულისცემით რომ მიფრინავს, თითქოს იქ, იმ დასალიერში შვებას იგრძნობს და ისიც იგაზაფხულებს...
 ოჰ, ეს, უაზროდ და უფანტაზიოდ შეკერილი სამოსი მიჭერს! ჩემს ექიმს კი არ ესმის, რომ ეს, ის ბორკილება, რომელიც დღითიდღე მეტად ახელებს ფიქრს! მას კი ჰგონია, რომ იმ ფერადი აბებით და ამ სამოსით ოცნებას დავთმობ! არა! სიგიჟე ჩემი მდგომარეობა კი არა, – ეს სამოსია, მათი მოგონილი მკაცრი წესები და დოგმები, ფერადი აბები... ხანდახან „ეს აბები ზღვის კენჭები მგონია“...
 თვალებს დავხუჭავ ხოლმე და წარმოვიდგენ მზის ჩასვლას, როგორ ვისვრი ფერად კენჭებს ზღვაზე ფიანდაზად დაგებულ მზის უსასრულო ბილიკზე, მერე ისევ ჩემი ბელურა მახსენდება – გაზაფხულის ბელურა... ნეტავ სად არის ახლა? ალბათ, ისიც მიფრინავს, როგორც ჩვენ, სამნი – მე, ოცნება და ერთი უჩვეულო ღამის ფიქრი, ცის კიდემდე...

ცით გამოვყევ შენკენ სავალ რითმებს, გული ისევ ძველ ტკივილებს ითმენს... შემეშველე ჩემს გოლგოთის გზაზე, ნუ გამაკრავ გულგრილობის ჯვარზე!.. დაიწყება წარმოდგენის მსგავსი, ნილაბს იხსნის სიძვის მთელი დასი!!! უნიჭობის ანშლაგია, ხედავ? ავანსცენას დარქმევია ფარსი! მოდი, შენით დაიხუროს ფარდა და დასრულდეს ჩვენში უანრი დრამა...

წუხელ მოთოვა...
 და მიყვებოდა ჩუმად შენზე
 თოვლი მოთხრობას...

ე რ თ ი ლ ე ქ ს ი

ღმერთებს, იმ ღმერთებს, იმ წმინდა ღმერთებს, ჩემს სიყვარულში შვებად რომ ჩადგენენ, შენს გაუკვალავ მზერაში ვერთვი და უჭკნობ სიტყვებს ლოცვებად ვადგენ... ლოცვა პირველი – სიტყვა, რომელშიც რწმენის უქრობელ სანთლად ამენთე, როდესაც მივწვდით მიუწვდომელში ჩარგულ სუნთქვას და ვთქვით: ერთმანეთი – სიტყვა, რომელმაც უჭკნობ სიმნიფედ დაიქუხა და ამოიშალა სიტყვა, რომელმაც ყოფნის მინიდან აღმომაცენა უკვდავ ნიშანად... და ერთმანეთი – სიტყვა პირველი – პირველქმნილ ხმად და ლოცვად გაისმა და ჩვენი ერთად ყოფნა, პირველად, დაიმახსოვრა იმ დღის დაისმა. ლოცვა მეორე – სიტყვა მეორე, რომელშიც უკვდავ ვედრებად ვიშვით, სიტყვა, რომელმაც გაგვიმეორა, სიტყვა, რომელმაც გამოგვწვრთნა შიშით. სიტყვა, რომელმაც ყოფნის მინდვრებში ეკლებგამოსხმულ შვებად იხარა, ჯერ სიხარულის ჩავდგა ხიდეზად, მერე უმწეო დარდში მიგვყარა და იმ დღეების მკრთალმა დიდებამ და იმ ღამეთა ცამდე მიყვანამ შვა მარადიულ ნათელ-ბინდებად ლოცვა მეორე – სიტყვა “მიყვარხარ”... და მერე იქმნა ლოცვა მესამე, სამგზის წმინდა და სამგზის ვნებული, სიტყვა, რომელშიც შემომესალმე, სიტყვა, რომელშიც წამლად მეგულვი, სიტყვა, რომელსაც კრძალვით ვმოსავდით, სიტყვა, რომელიც სიზმრად ამიხდა, სიტყვა, რომელიც უჭკნობ სოსანთა უწმინდეს ბაღში ვნებად ჩამიხმა. სიტყვა, რომელსაც შენთან მოსვლამდე ვერ სწვდებოდა და სცნობდა ჩემი ხმა... და იქმნა ჩვენი ტრფობის მესაზე სიტყვა მესამე – ლოცვა “ჩემი ხარ”. ღმერთებს იმ ღმერთებს, ჩემს ჩუმ სიყვარულს მარადიული მზერით რომ მისწვდნენ, ვთხოვ, შენს ტაძარში შემომიყვანონ, რომ შენი სულის სითბოში მივწვე, რომ ჩემი სიტყვაქმნილი ლოცვები მარადუქრობელ შვებად გიკმიო, როგორც შევძლებ და როგორც მოგწვდები, რომ შეგიცნო და გამოგიკვლიო, რომ სიყვარულის უჭკნობ ნაკრძალში ფერფლმიუკარებ კოცონად გენთო... და შენი სულის მაღალ ტაძარში ამ ერთი სიტყვით გიხმობდე – “ღმერთო!”

თათია მთვარელიძე